სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №137

(გამარტივებული შესყიდვა, წამომადგენლობითი ხარჯი)

ქ. მცხეთა 23 სექტემბერი 2019 წ.

ერთის მხრივ, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი ,,საქპატენტი“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი საფინანსო დეპარტამენტის უფროსის ვლადიმერ სიხარულიძის სახით (მოქმედი სსიპ „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2013 წლის 03 იანვრის №04 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე) და მეორეს მხრივ, ფიზ. პირი: ეკატერინე ცაგარელი, მცხოვრები: ქ. თბილისი, გ. შავგულიძის 7^ა, ბინა 68^ა, პირადი №01009001544 (შემდგომში „შემსრულებელი“), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და შემსრულებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „შემსრულებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 2019 წლის 23-25 სექტემბერს, ქ. თბილისში, სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტის“ და გეოგრაფიული აღნიშვნების გლობალური ალიანსის - ,,OriGIn”-ს ორგანიზებით დაგეგმილ ,,OriGIn”-ის გენერალური ასამბლეის სესიაზე მოწვეული სტუმრებისათვის, თბილისის ტურის ჩასატარებლად გიდის (ინგლისურ ენაზე) მომსახურება, ერთი დღის განმავლობაში, 23 სექტემბერს (CPV-63514000).

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

3.1.1. მოსთხოვოს შემსრულებელს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ვადებში;

3.1.2. განახორციელოს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი (ინსპექტირება).

3.2. შემსყიდველი ვალდებულია:

3.2.1 უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

3.3. შემსრულებელი უფლებამოსილია:

3.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

3.4. შემსრულებელი ვალდებულია:

3.4.1. გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება ხარისხიანად და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

4. მომსახურების გაწევისა და მიღება-ჩაბარების პირობები

4.1. შემსრულებელი ვალდებულია მომსახურების გაწევა განახორციელოს 2019 წლის 23 სექტემბერს.

4.2. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.3. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

4.4. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს: საერთაშორისო ურთიერთობათა და პროექტების მართვის განყოფილების მთ. სპეციალისტი (ხათუნა

ციმაკურიძე).

5. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: **154.00 (ასორმოცდათოთხმეტი) ლარს.** საშემოსავლოს და საპენსიო დაზღვევას დააკავებს საქპატენტი.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშსწორების განსახორციელებლად შემსრულებელმა უნდა წარმოადგინოს მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი.

6.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში, შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, არაჯეროვნად შესრულება ან/და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსრულებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის 10%-ის ოდენობით, რომლის გადახდაც მოხდება შემსყიდველის მიერ დასაბუთებული წერილობით მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში.

7.3. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

8. მხარეთა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება

8.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედებები, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა).

8.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება ვალდებულია გონივრულ ვადაში წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების და მისი აღმოფხვრის სავარაუდო ვადის შესახებ.

8.4. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

9.2. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 15 ნოემბრამდე.

11.2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. დასკვნითი დებულებები

13.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლიარი შემსრულებელს, ხოლო მეორე შემსყიდველს).

13.2. შემსრულებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე პირს.

13.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი მუხლის, პუნქტის ან/და დებულების ბათილობა ან/და ძალდაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანარჩენი მუხლების, პუნქტების ან/და დებულებების ნამდვილობაზე.

13.4. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება მხარეთა შორის წარმოებს წერილობით.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთ-
რების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“
მისამართი: ქ. მცხეთა, ატიოქიის ქ. №5
საიდენტიფიკაციო კოდი: 203831363
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,საქართველოს ბანკი“ ც/ფ,
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ. №GE57BG0000000892218200

_____

საფინანსო დეპარტამენტის უფროსი
ვლადიმერ სიხარულიძე

შემსრულებელი

ფიზ. პირი: ეკატერინე ცაგარელი
მისამართი: ქ. თბილისი, გ. შავგულიძის 7ˢ,
ბინა 68ˢ,
პირადი ნომერი: 01009001544
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს „თი ბი სი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგ. №GE46TB 1164 6450 6362 2340

_____

ეკატერინე ცაგარელი